

ელექტრონული საქმის წარმოების შეფასება კახეთის მუნიციპალიტეტებში:
თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის შედარებითი ანალიზი

გურამ გუდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურამ გუდამცილი

2020 წელი

აბსტრაქტი

ფრიდრიხ ენგელსს რომ დავესესხო, მან 1976 წელს დაწერა „შრომას შეუქმნია ადამიანი“. ერთი შეხედვით ამ პატარა გამონათქვამში ჩატეულია მთელი თეორიული თუ პრაქტიკული მიგნებების სპექტრი, რაც ადამიანებს ცნობიერება-ყოფიერების ჭიდილის შედეგად მოუფიქრებიათ და გაუხორციელებიათ. ყოველივე ის ადამიანური ყოფითი მიზანი, რაც კი შესაძლოა რიგითმა მკვიდრმა დაისახოს მცირე, საშუალო თუ ხანგრძლივ დროში მეცნიერულად აკუმულირდა და დაილექა საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პრაქტიკულ საცავში, რასაც სხვადასხვა თაობის თუ ყაიდის ადამიანები ხან „რაიკომს“, „მმართველობას“, „მერიას“, „გამგებლობას“ და ხან იუმორით „გაუგებლობას“ უწოდებენ ხოლმე.

ალბათ მოწინავე ჟურნალ-გაზეთების გადაშლაც კი არ გვჭირდება იმისთვის, რომ გადმოვცეთ თუ რა გახლავს მმართველობითი ორგანოს უმთავრესი, უზენაესი ფუნქცია ქვეყანაში თუ კერძოდ რომელიმე პატარა სოფელში: ხელი შეუწყოს ადამიანებს, რათა მოახდინონ საკუთარი ამბიციების რეალიზება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში. მიმდინარე სამაგისტრო ნაშრომში თქვენი მონა-მორჩილი მაგისტრობის კანდიდატი ვეცდები გადმოვცე, თუ განვითარების რა ეტაპზე იმყოფება მსოფლიო ადამიანური საქმეების მმართველობის კუთხით, შემდეგ დავავიწროვო გეოგრაფიული არეალი და მიმოვიხილო საქართველოს პოზიცია მსოფლიო ქვეყნებს შორის და ბოლოს კი საკუთარი შედარებითი კვლევის მიგნებები გაგიზიაროთ თუ რა ვითარებაა კახეთის სამ მუნიციპალიტეტში: თელავში, ყვარელსა და ლაგოდეხში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული საქმის წარმოება, დოკუმენტების მართვის სისტემა, დოკუმენტების დამუშავება, საჯარო მმართველობა, ელექტრონული მთავრობა (ელ-მთავრობა), ელექტრონული დოკუმენტი

Abstract

Friedrich Engels once said: "Labor has created man." At first glance, this small statement written in 1976 encompasses a range of theoretical or practical findings that have been thought out and realized by humans through the wrestling of consciousness-existence flows. All of the mundane human goals that ordinary people may have in a short, medium or long time have been scientifically accumulated and settled in the practical repository of public policy administration that people of different generations or castes sometimes call "Raikom", "City Hall", „Governance” and sometimes they are called humorously "Mis-Governance."

Perhaps we don't even need to look at advanced magazines to convey what is the primary, supreme function of a governing body in a country or in a small village in particular: to help people realize their ambitions within the framework of legislation. In your current master's thesis, your slave-master's candidate will try to explain what the stage of development in the world of human affairs is, then narrow down the geographical area and review Georgia's position among world countries and finally share my own comparative research findings on the situation in the three municipalities of Kakheti: Telavi, Kvareli and Lagodekhi.

Key words: Electronic Case Management, Document Management System, Document Processing, Public Administration, E-Government (E-Gov), Electronic Document